F 133
1928 /L

34(05)
1-29.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. დეკემბრის 29 — № 5 — ნაწილი მეორე

F1112
X83

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებანი.

18. ინსტრუქცია—ქალაქის მიჯნის ფარგლებში ტრანსპორტისათვის გადაცემული მიწების რეგისტრაციის წარმოების შესახებ.

იუსტიციის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების განკარგულებანი.

19. ინსტრუქცია—„სოფლად მომუშავე საექიმო პერსონალის უფლება-მოვალეობა".

ა/კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის განკარგულებანი.

20. დადგენილება № 23-142—[გამომცხვარ პურზე საცალო ფასების დაწესების შესახებ].
21. დადგენილება № 24-143—ცხვრის ხორცზე ფასების დაწესების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებანი.

დამტკიცებულია სსსრ სახალხო კომისართა საბჭოს
მიერ 1928 წ. აგვისტოს 7-ს (ოქმი № 19, § 15).
სსსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა-
მმართველის მოადგილე ს. სტეფანოვი.

18. ინსტრუქცია

ქალაქის მიჯნის ფარგლებში ტრანსპორტისათვის გადაცემული მიწების რეგისტრაციის წარმოების შესახებ.

(საადგილმამულო ინვენტარის შედგენა).

1. ზოგადი დებულებანი.

§ 1. ყველა, გამოუნაკლისად, მიწა და წყალის სივრცე, რაც ქალაქის მიჯნის ფარგლებშია და ტრანსპორტის გამგებლობაში ირიცხება, რეგისტრაციაქმნილ უნდა იყოს.

§ 2. 1-ლ მუხლში აღნიშნული მიწების საადგილ-მამულო რეგისტრაცია გულისხმობს ქალაქის მიჯნის ფარგლებში ტრანსპორტისათვის გადაცემული ყველა, გამოუნაკლისად, მიწის ნაკვეთისა და წყლის სივრცის უფლებრივი, სამეურნეო და ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ სწორი და თანამედროვეობასთან შეთანხმებული ცნობების შეკრებასა და დაცვას სისტემატიური და გარკვეული სახით.

§ 3. საადგილ-მამულო რეგისტრაცია არის ძირითადი და მიმდინარე.

§ 4. ძირითად რეგისტრაციას შეადგენს თავდაპირველი სრული გამორკვევა მიწის ნაკვეთებისა, მათი გაზომვა და გეგმებისა და აღწერის შედგენა, რაც განსაზღვრავს მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობას და აგრეთვე მათ უფლებრივ, სამეურნეო და ბუნებრივ მდგომარეობას.

§ 5. მიმდინარე რეგისტრაციის მიზანს შეადგენს სარეგისტრაციო დოკუმენტებში თავის დროზე შეტანა ყველა იმ ცვლილებისა, რაც მიწის ნაკვეთების ძირითადი რეგისტრაციის დროს აღნიშნულ უფლებრივ სამეურნეო და ბუნებრივ მდგომარეობაში შემდგომ მოხდება.

§ 6. ძირითადი და მიმდინარე რეგისტრაციის წარმოება ქალაქის მიჯნის ფარგლებში და ამ რეგისტრაციის თანამედროვეობის დონეზე დაყენება დაეკისრება სათანადო ქალაქის საბჭოს, რომელიც ეწევა კანონიერ პასუხისმგებლობას რეგისტრაციის აქტებში და გაცემულ ამონაწერებში შეტანილი ცნობების სისწორისათვის.

§ 7. ცნობა, რაც შეტანილია არსებული წესისამებრ დამტკიცებულ სარეგისტრაციო დოკუმენტში და გაცემულ ამონაწერში, მიიღება ყველა დაწესებულებისა და პირის მიერ უდავო ცნობად, რამდენადაც ამის საწინააღმდეგო რამ არ იქნება დამტკიცებული სასამართლოს წესით.

2. სარეგისტრაციო დოკუმენტები.

§ 8. სარეგისტრაციო დოკუმენტებს შეადგენს:

ა. საერთო სარეესტრო გეგმა, როგორც შენობიანი და თავისუფალი მიწის ნაკვეთებისა, ისე საალნაგოდ ახლად დანიშნული (დაყოფილი) ნაკვეთებისა და აგრეთვე სხვა დანიშნულების მიწებისა ქალაქის დასასახლებელი ნაწილის ფარგლებში—მასშტაბით 1 : 500 ცალკე ფურცლებზე (ან 1 : 1.000);

ბ. თვითეული ნაკვეთის საინვენტარო აღწერა და გეგმა—მასშტაბით 1 : 500;

გ. საინვენტარო გეგმის რეესტრი: 1) ზოგადი მუშაობის წარმოების თანამიმდევრობის წესისამებრ; 2) სისტემატიური, რომელიც შეიცავს ტრანსპორტისათვის გადაცემული მიწების ნუსხას.

ყველა რეესტრს დაერთვის საალფაბეტო წესით შედგენილი სია მიწის მოსარგებლეებისა იმ ნომრების აღნიშვნით, რაც სარეესტრო გეგმაში და რეესტრში არის. რეესტრში აღინიშნება რეგისტრაციის დრო და მიწის მოსარგებლისათვის საადგილ-მამულო ჩანაწერის მიცემა.

შენიშვნა. უკეთუ საჭირო იქნება ნაკვეთების კატეგორიების უფრო დაწვრილებით დაყოფა, შეიძლება შემოღებულ იქნეს დამატებითი რეესტრები, გარდა ამა პარაგრაფის „გ“ პუნქტში აღნიშნულისა.

§ 9. საერთო სარეესტრო გეგმა დასასახლებელი ნაწილისათვის შესდგება მთელი კვარტალების ან ჯგუფების მახედვით, რომელნიც დაკავშირებული არიან მცირე კვარტალების კონფიგურაციის საერთო ხასიათით,—ცალკე ფურცლებზე.

§ 10. კვარტალების გეგმაში უნდა აღინიშნოს: მიწის თვითეული ნაკვეთის საზღვრები ცალ-ცალკე, მთელი კვარტალის და მისი შემადგენელი ნაკვეთების საზღვრის ხაზის სიგრძისა და საერთო სივრცის რიცხვობრივი გამოხატულებით, აგრეთვე შენობები, ნაგებობა, მცენარეულობა, ქები და სხვა ნიშნები, რაც ნაკვეთის სიტუაციას და მისი ზედაპირის ხასიათს საზღვრავს.

ყველა გეგმები აღინიშნება ლიტერებით, ხოლო კვარტალები და ცალკე ნაკვეთები ხელახლად დაინომრება და შესდგება საერთო საკვარტალო გეგმა.

შენიშვნა. მიწის ნაკვეთები, რომელიც თავდაცვის მიზანთან არის დაკავშირებული და ცალკე შედგენილ სიაშია აღნიშნული, აუცილებლად რეგისტრაციაქმნილ უნდა იყოს მხოლოდ გარეგანი საზღვრების მიხედვით; შინაგანი შემადგენელი ნაწილების რეგისტრაცია კი მოხდება სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან შეთანხმებით.

§ 11. საინვენტარო აღწერილობა შესდგება ნაკვეთის უფლებრივი სამეურნეო და ბუნებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობების ადგილობრივ, შეკრების საშუალებით.

§ 12. რეესტრი შესდგება საინვენტარო აღწერილობისა და სარეგისტრო გეგმის ცნობების მიხედვით და წარმოადგენს ნაკვეთების კატეგორიებად ცალკე ზონარგაყრილ დავთრებს გადასაკეცი ფურცლებით, რომელიც განიყოფება ორ ნაწილად: ერთზე მარცხენა გვერდზე გამოიხატება საერთო გეგმიდან ამოღებული თვითეული ნაკვეთის ნახაზი სათანადო ნომრით და სათანადო გეგმის ნომრის აღნიშვნით, ხოლო მეორე—მარჯვენა გვერდზე აღინიშნება საჭირო სარეგისტრაციო ცნობები ამა თუ იმ ნაკვეთის შესახებ.

3. სამზადისი რეგისტრაციისათვის.

§ 13. ქალაქის მიწების ძირითადი რეგისტრაციისათვის ამა თუ იმ ადგილას სარეგისტრაციო მოქმედებათა შესრულებამდე სწარმოებს სამზადისი მუშაობის დასაწყებად. ეს სამზადისი მდგომარეობს შემდეგში:

ა) დაწესება ქალაქის მიწების იურიდიული საზღვრებისა (ქალაქის მიჯნისა) მიწათმოწყობის წესისამებრ.

შენიშვნა. იმ ქალაქში, სადაც ქალაქის მიჯნა საბოლოოდ დამტკიცებული არ არის, სარეგისტრაციო მუშაობა შეიძლება დაწყებულ იქნეს, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს მუშაობა არ შეეხოს იმ ნაკვეთებს რომლებიც მიწების გარეგან საზღვარს აკრავს, თუნდაც ეს საზღვარი უდავო იყოს.

ბ) შეკრეფა, სისტემატიზაცია, შემოწმება და შეფასება იმ საგეგმო მასალისა, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგისტრაციის დროს.

შენიშვნა. ტეხნიკურის მხრით ყველაზე უფრო სარწმუნო მასალას წარმოადგენს გეგმებისა და მიწის მოწყობის აქტების ჩვენება; მიწის შესახებ სხვადასხვა გარიგების დროს (დაგირავება, ყიდვა, გაყიდვა) შედგენილი გეგმა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად იმ ნაწილში, რაც შეეხება სანახების რაოდენობისა და თვისების აღნიშვას, უკეთუ ეს სანახები დროის გარმავლობაში ძალიან არ შეიცვალა; გეგმას, რომელიც შესდგება რაიმე სპეციალური მიზნით (საძიებლო, სამეურნეო, საინჟენერო და სხვ.) ჩვეულებრივად საკმაო სისწორე აქვს თავისი დანიშნულების ფარგლებში.

გ) მომზადება სათანადო იარაღებისა, სახაზავი მასალისა და სხვა ხელსაწყოსი, რაც მუშაობისათვის საჭიროა.

დ) დაწესება სარეგისტრაციო სამუშაოთა შესრულების საშუალებისა და აგრეთვე შედგენა ამ სამუშაოთა წარმოების ფინანსიური ხარჯთაღრიცხვისა და ანგარიშისა.

§ 14. სამუშაოთა ანგარიშისა და მათი შეფასების საფუძვლებს შეიმუშავებს კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი განყოფილება და დაამტკიცებს სათანადო ქალაქის საბჭო.

§ 15. მუშაობის გეგმა და რეგისტრაციის წარმოების ხარჯთაღრიცხვა განიხილება ქალაქის საადგილ-მამულო განყოფილებაში, საფინანსო განყოფილების წარმომადგენელის თანადასწრებით, და დამტკიცდება ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სამუშაოთა წარმოების წესი.

§ 16. სარეგისტრაციო მუშაობის დაწყების შესახებ წინასწარ უნდა ეუწყოს სატრანსპორტო ორგანოებს პუბლიკაციის საშუალებით, და ეთხოვოს მათ დაესწრნენ მუშაობას და წარმოადგინონ რეგისტრაციისათვის საჭირო ცნობები; ხოლო რეგისტრაციის წარმოების დღისათვის ტეხნიკოსი მოიწვევს მათ თავის დროზე ცალკე უწყებების გაგზავნით.

§ 17. ტრანსპორტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა არ შეაჩერებს რეგისტრაციის წარმოებას.

ტრანსპორტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობა აღინიშნება საინვენტარო აღწერილობაში.

§ 18. რეგისტრაციის წარმოების დროს სატრანსპორტო ორგანო ვალდებულია წარადგინოს მის განკარგულებაში ქონებული დოკუმენტები ნაკვეთების სარგებლობის უფლების შესახებ.

§ 19. რეგისტრაცია სწარმოებს ცალკე ნაკვეთების მიხედვით. თვითეული ნაკვეთისათვის უნდა შესდგეს ცალკე აღწერილობა, თანახმად ამა ინსტრუქციის მე-11 პარაგრაფისა. აღწერილობას ხელი უნდა მოაწეროს გამოკვლევის მწარმოებელმა პირმა და ტრანსპორტის წარმომადგენელმა.

§ 20. ცალკე ნაკვეთად იგულისხმება მიწის ყოველი სივრცე ცალკე საზღვრებით, რომელი საზღვრებიც ყოველის მხრით გამოჰყოფს ამ სივრცეს მეზობელ ნაკვეთისაგან.

ა) ყოველი ცალკე ქუჩა, სივრცე, წყლის ნაპირი და საერთო სარგებლობის სხვა ადგილი ჩაითვლება ცალკე ნაკვეთად.

ბ) წყლის სივრცე: მდინარე, ტბა და გუბე, უკეთუ იგი არ შედის, როგორც შემადგენელი ნაწილი, ამა თუ იმ ნაკვეთის ფარგლებში, ჩაითვლება ცალკე ნაკვეთად; ამასთანავე თევზის საჭერი სანახები ცალკე უნდა აღინიშნოს.

§ 21. რეგისტრაციის დროს საზღვრისა ან ნაკვეთის სარგებლობის უფლების შესახებ აღძრული დავა, უკეთუ ეს დავა ადგილობრივ ვერ გადაწყდება,— არ შეაჩერებს რეგისტრაციას, ხოლო სარეგისტრაციო დოკუმენტებში აღინიშნება—რაში მდგომარეობს დავის შინაარსი, თვით ნაკვეთი კი გადაიღება გეგმაზე ფაქტიური საზღვრების მიხედვით და სადაო საზღვრების ხაზის აღნიშვნით.

რეგისტრაციის დროს აღძრული ყველა სადაო საქმე გადაეცემა განსახილველად სახალხო სასამართლოს ან კომუნალური მეურნეობის ორგანოებს.

შენიშვნა. რეგისტრაციის პროცესის დროს აღძრული ყველა დავა ქალაქის მიჯნის შესახებ გადაწყდება საერთო წესისამებრ.

§ 22. ადგილობრივ შეკრეფილი სარეგისტრაციო ცნობები, გეგმა და აღწერილობა შემოწმებულ უნდა იქნეს და შედარებული არსებულ გეგმებთან, საიჯარო ხელშეკრულებებთან და სხვა დოკუმენტებთან ნაკვეთების ოდენობისა, მათი საზღვრების მდებარეობისა, მიწათსარგებლობის კანონიერებისა და მიწათმოსარგებლეთა სახელწოდების მხრით და უნდა გაუკეთდეს სათანადო წარწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 23. ტრანსპორტის ორგანოს უფლება ეძლევა ორი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, რა დღესაც მის სარგებლობაში ქონებული მიწის ნაკვეთის ადგილობრივ გამოკვლევა დამთავრდება,—წარუდგინოს კომუნალური მეურნეობის ორგანოს დასაბუთებული განცხადება და საჩივარი არასწორი სარეგისტრაციო მოქმედებით ტრანსპორტის ინტერესების დარღვევის შესახებ.

§ 24. მიღებული განცხადება განიხილება კომუნალური მეურნეობის ორგანოების მიერ და გადაწყდება თანახმად ამა ინსტრუქციის 22 §-ისა.

შენიშვნა. რეგისტრაციაქმნილი ნაკვეთის სივრცის განსხვავება იმავე ნაკვეთის იმ ოდენობასთან, რაც ნაჩვენებია სხვა დოკუმენტებში—საიჯარო ხელშეკრულებაში, აქტში, გეგმაში და სხვ., რომელი განსხვავებაც წინანდელი დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პირობების შეცვლის საფუძვლად ვერ გახდება,—დაწესდება ქალაქის დასასახლებელი ნაწილისათვის 1%-მდე, ხოლო ქალაქის სხვა მიწებისათვის—5%-მდე.

§ 25. საბოლოოდ შედგენილ გეგმას და აღწერილობას დაამტკიცებს ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული განსაკუთრებული კომისია, რომლის თავმჯდომარედ არის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და რომლის შედგენილობაშიც შედიან კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი ორგანოებისა, საფინანსო განყოფილებებისა და მუშათა წარმომადგენელნი.

§ 26. გეგმისა და აღწერილობის დამტკიცების შემდეგ, მათში აღნიშნული თვითეული ნაკვეთი ჩაიწერება სათანადო სარეესტრო დავთარში.

§ 27. სარეგისტრაციო გეგმებისა და აქტების დამტკიცებისა და მათში მოთავსებული ცნობების სარეესტრო დავთარში შეტანის შემდეგ, ძირითადი რეგისტრაცია ჩაითვლება დამთავრებულად და სარეგისტრაციო ცნობები კი სარწმუნო და უდავო ცნობებად.

5. საადგილ-მამულო საბუთების გაცემა.

§ 28. ქალაქის მიწის ნაკვეთების სარგებლობისათვის წინათ არსებული ყველა ფორმის დოკუმენტების მაგიერ ტრანსპორტის ორგანოებს მიეცემათ ახალი ერთიანი დოკუმენტი—საადგილ-მამულო საბუთი (დანართი № 3).

§ 29. საადგილ-მამულო საბუთის გაცემის დროს ეს უკანასკნელი შეიტანება სარეგისტრაციო ორგანოს გასული საბუთების განსაკუთრებულ ჟურნალში რიგის ნომრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუსტიციის, შრომის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების განკარგულებანი.

ცირკულარულად

19. სოფლად მომუშავე საექიმო პერსონალის უფლებამოვალეობა.

ყველა მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებას, ასევე ავტონომიურ რესპუბლიკების ჯან. სახ. კომისარიატების, საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებას, ა/კ. რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილებას.

ინსტრუქცია

(შედგენილია თანახმად მე-8 მუხლისა ს.ს.ს.რ. სახკომსაბჭოს 15 ივნისის 1927 წ. (კანონთა კრებ. № 6) დადგენილებისა „სოფლის საექიმო დახმარებით უზრუნველყოფის და სოფლად მომუშავე მედპერსონალის მატერიალურ მდგომარეობის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ“).

I. ექიმები.

1. სოფლის სამკურნალო დაწესებულების ექიმს თანამდებობაზე დანიშნავს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანს და სამსახურიდან დაითხოვს მაზრის ჯანგანყოფილება დაინტერესებულ თემალმასკომთან შეთანხმებით და კავშირისთვის ცნობის გაგზავნით თანახმად შრომის კანონთა კოდექსისა.

შენიშვნა. სოფლის ექიმის თანამდებობაზე დანიშვნასა, გადაყვანასა და დათხოვნასთან დაკავშირებული უთანხმოება გადაეცემა ჯანმრთელობის ზედა საფეხურის ორგანოს და კავშირს გადასაწყვეტად მომქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

2. სოფლის სამკურნალო დაწესებულების გამგე ექიმი მჭიდრო კავშირს იჭერს ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მათ მუშაობაში მონაწილეობის მიღებით. იგი პასუხისმგებელია მისდამი რწმუნებული დაწესებულებების სამეურნეო, სამკურნალო და სანიტარული საქმის სათანადოდ დაყენებისათვის, მასვე ემორჩილება მთელი პერსონალი.

შენიშვნა. უმცროს პერსონალს დანიშნავს თვით ექიმი, სამეურნეო ნაწილის გამგეს დანიშნავს ექიმი თემალმასკომთან შეთანხმებით. საშუალო მედპერსონალის დანიშვნა-დათხოვნის წესი გათვალისწინებულია ამა ინსტრუქციის მე-II თავში.

3. სოფლის სამკურნალო დაწესებულების გამგე ექიმი: ა) აწესებს სამკურნალო დაწესებულების შინა წესრიგს.

შენიშვნა. შინაწესრიგს ექიმი შეიმუშავებს, ჯანმრთელობის დაცვის ზედა საფეხურის ორგანოს ინსტრუქციის თანახმად პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენელთან ერთად. ეს წესრიგი დამტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიცდება შრომის ინსპექტორის მიერ (იხ. მუხ. 54 შრომის კანონთა დექსისა).

ბ) ანაწილებს, შინა წესრიგის მიხედვით, სამუშაოს საექიმო სასანიტარო და სამეურნეო პერსონალს შორის, კონტროლს უწევს მათ მუშაობას და თვალყურს ადევნებს მათ მიერ თავისი მოვალეობის სისწორით შესრულებას.

√გ) პასუხს აგებს, კანონის თანახმად, იმისათვის, რომ სამკურნალო დაწესებულების საექიმო და სამეურნეო ქონება უკლებლივ და სათანადოდ ინახებოდეს.

დ) განაგებს კრედიტებს, თვალყურს ადევნებს საექიმო, სამეურნეო და საფინანსო ანგარიშგებას, ადგენს ავადმყოფთა შესანახ ხარჯთაღრიცხვებს და ღებულობს მონაწილეობას სათანადო ინსტანციებში ამ ხარჯთაღრიცხვების გატარების დროს.

ე) წარადგენს პერიოდულ და ვადიან ანგარიშებს, მოხსენებებს და სხვა ცნობებს თანახმად არსებულ წესებისა და აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების, მოკვლევის, გამოძიების და სასამართლოს ორგანოთა ცალკე მოთხოვნით.

4. აწარმოებს რა თავის საექიმო მუშაობას პროფილაქტიური მიმართულებით სოფლად მომუშავე ექიმი:

ა) ხელმძღვანელობს თემის სანიტარულ საბჭოს მუშაობას.

ბ) თვალყურს ადევნებს ეპიდემიურ, სოციალურ და ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ და პროფესიონალურ ავადმყოფობათა გაჩენას და მიმდინარეობას, იკვლევს მათი გაჩენის მიზეზებს, იღებს ღონისძიებას მათი თავიდან ასაცილებლად და მონაწილეობას იღებს მათთან ბრძოლის საქმეში სანიტარულ ექიმთან შეთანხმებით; გარდა ამისა იგი მონაწილეობს საერთო გამაჯანსაღებელ და ეპიდემიასთან საბრძოლველ ღონისძიებათა ორგანიზაციაში და მათ განხორციელებაში, როგორიცაა: აცრის კამპანია, გადამდებ სნეულებათა კერების გამოკვლევა, მეთვალყურეობის გაწევა ბინების მდგომარეობისა, საერთო სარგებლობის ადგილებისა, წყლის მიმწოდებელი წყაროების, სურსათ-სანოვაგის მომზადების, შენახვის და გასაღების ადგილებისათვის და სხვ.

შენიშვნა. პროფესიონალური მოწამვლის ან ავადმყოფობის ყოველი ცალკე შემთხვევა ექიმი მოვალეა, თუ ამ მოვლენას მასიური ხასიათი არა აქვს, არა უგვიანეს 7 დღისა, ხოლო თუ მასიური ხასიათი აქვს დაუყოვნებლივ, აცნობოს სამაზრო სასანიტარო ინსპექციას, იქ კი, სადაც ასეთი არ არის—შრომის ინსპექციას.

გ) აწყობს და ცხოვრებაში ატარებს პროფილაქტიურ ღონისძიებებს სასანიტარო სწავლა-განათლების გავრცელებით, დედათა, შვილთა და ბავშვთა დაცვით და სხვა, თანახმად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა ინსტრუქციებისა.

5. სოფლის მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის მხრივ სოფლად მომუშავე ექიმი ვალდებულია: ა) ყოველდღე, გარდა უქმე და გამოსასვლელი დღეებისა, მიიღოს საექიმო პუნქტებზე ამბულატორიული ავადმყოფები. ამასთანავე ავადმყოფთა ჩაწერის და მიღების დრო მტკიცეთ განისაზღვრება სოფლის ექიმის და თემაღმასკომის ურთიერთ შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. უქმე და გამოსასვლელ დღეს და აგრეთვე მუშაობისგან თავისუფალ საათებში ექიმს უფლება აქვს წავიდეს პუნქტიდან, მაგრამ ვალდებულია სამკურნალო დაწესებულებაში დასტოვოს ცნობა, თუ სად იქნება იგი. ეს იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო გახდება მისი სასწრაფოდ გამოწვევა.

შენიშვნა 2. ამბულატორიული მიღების საათების რიცხვი ისეთი ექიმისათვის, რომელიც სტაციონარს არ განაგებს, არ უნდა აღემატებოდეს 5-ს, ხოლო სტაციონარის გამგე 4-ს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს შინა წესრიგით.

შენიშვნა 3. ისეთი ავათმყოფი, რომელსაც თავისი სნეულების გამო, ესაჭიროება სასწრაფო დახმარება, აგრეთვე მძიმე ავადმყოფები, მიიღებიან მიღებისათვის დანიშნული დროს გარეშეც.

ბ) სამკურნალო დაწესებულებაში ავადმყოფის მიღება-გამოწერა ხდება გამგე ექიმის განკარგულებით. უკეთუ სამკურნალოში რამოდენიმე სხვადასხვა სპეციალური განყოფილებაა, ავადმყოფთა მიღება-გამოწერა მოხდება სათანადო განყოფილების გამგის განკარგულებით.

გ) სოფლად მომუშავე ექიმი მოვალეა თავის უბნის ფარგლებში ბინაზე აღმოუჩინოს საექიმო დახმარება ისეთ ავადმყოფს, რომელსაც ესაჭიროება სასწრაფო, გადაუდებელი დახმარება და რომლის წაყვანა სამკურნალოში განსაცდელში ჩააგდებს მის სიცოცხლეს ან აშკარა ვნებას მიაყენებს მის ჯანმრთელობას. ასეთი შემთხვევაა: ა) პატალოგიური მშობიარობა, ბ) მოწამვლა, გ) სიცოცხლისათვის საშიში სისხლის დენა, დ) სიცოცხლისათვის საშიში მძიმე ჭრილობა, ე) ეპიდემიური სნეულების გაჩენა.

შენიშვნა 1. სამკურნალო დაწესებულების გამგე ექიმს უფლება ეძლევა, შემთხვევის და მიხედვით, ბინაზე დახმარების აღმოსაჩენად გაგზავნოს საშუალო მედპერსონალი.

შენიშვნა 2. ექიმი მოვალეა ავადმყოფის ბინაზე, თავისი საცხოვრებელი ადგილის გარეშე დახმარების აღმოსაჩენად წავიდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის განკარგულებაში იქნება მისვლა-მოსვლის რაიმე საშუალება.

6. ექიმი მოვალეა შეამოწმოს იმ პირთა ჯანმრთელობა და მისცეს ამის შესახებ დასკვნა, რომელთაც ამ მიზნით სამკურნალო დაწესებულებაში გამოგზავნიან მილიციის და იუსტიციის ორგანოები და აგრეთვე ამ უკანასკნელთა წინადადებით აწარმოონ გვამების სასამართლო-საექიმო გაკვეთა იმ შემთხვევაში, თუ მაზრაში არ იმყოფება სასამართლო ექიმი და თუ მას ხელთ ექნება შესაფერი ინსტრუმენტი.

7. დღე და საათი სასამართლო-საექიმო შემოწმებისათვის დაწესდება მოკვლევის ან გამოძიების ორგანოების და ექიმის შეთანხმებით.

შენიშვნა. ზემოაღნიშნულ წინადადებებზე გამოცხადება ექიმისთვის სავალდებულოა მხოლოდ თავისი უბნის ფარგლებში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის განკარგულებაში იქნება მისვლა-მოსვლის საშუალება, და თუ თითოეულ წასვლისათვის მას მიეცემა გასამრჯელო თანახმად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობის და იუსტიციის სახ. კომისარიატების და სამედიცინო სასანიტარო შრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მიერ დაწესებული ნორმებისა.

8. სოფლად მომუშავე ექიმის მოვალეობას შეადგენს მოწმობის გაცემა ავადმყოფობის, სხეულის დაზიანების, მკურნალობის, დაბადების და სიკვდილის შესახებ ისეთ შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია ჯანსახკომისარიატის ინსტრუქციაში „საექიმო მოწმობების გაცემის წესის შესახებ“.

9. ყოველგვარი გაუგებრობა, რასაც ადგილი ექნება ამა ინსტრუქციის შეფარდების დროს გადაეცემა გადასაჭრელად ჯანმრთელობის დაცვის ზედა საფეხურის ორგანოებს.

შრომის ურთიერთობის ნიადაგზე წარმოშობილი დავა უნდა განხილულ იქნას შრომის კანონთა კოდექსის თანახმად.

II. საშუალო სამედიცინო პერსონალი.

(ბებია ქალები, ექიმების თანაშემწეები და სამედიცინო დები)

1. სოფლის სამკურნალო დაწესებულების საშუალო სამედიცინო პერსონალს სამსახურში დანიშნავს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანს და სამსახურიდან დაითხოვს მაზრის ჯანგანყოფილება სამკურნალო დაწესებულების გამგე-ექიმთან შეთანხმებით და მომქმედ შრომის კანონების და კოლექტიურ ხელშეკრულების მიხედვით.

შენიშვნა. საშუალო პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნასა, გადაყვანა-გადმოყვანასა და დათხოვნასთან დაკავშირებული უთანხმოება გადაეცემა მაზრის ჯანგანყოფილებას კავშირის სამაზრო განყოფილებასთან შეთანხმებით გადასაწყვეტად საერთო წესისამებრ.

2. საშუალო სამედიცინო პერსონალი უშუალოდ ემორჩილება სამკურნალო დაწესებულების გამგე-ექიმს, ასრულებს სამუშაოს მისი დავალებით, თანახმად შინა წესრიგისა.

3. საშუალო სამედიცინო პერსონალი, როგორც ექიმის თანაშემწე, მოვალეა მოუაროს ავადმყოფს, თვალყური ადევნოს საავადმყოფოში სისუფთავეს და წესრიგს, შეასრულოს ექიმის დავალებით და მისივე მეთვალყურეობით სამკურნალო და სხვა სამუშაო, თანახმად შინა წესრიგისა.

4. იმ შემთხვევაში, თუ ექიმი ადგილზე არ იქნება, საშუალო პერსონალის ერთ-ერთი პირი შეიძლება დატოვებულ იქნას ექიმის მოადგილედ.

5. ბინაზე დახმარებისათვის გაწვეულ საშუალო სამედიცინო პერსონალს უნდა მიეცეს მისვლა-მოსვლის საშუალება.

6. უკეთუ საშუალო სამედიცინო პერსონალი განაგებს ისეთ პუნქტს, სადაც შტატით ან სხვა მიზეზით ექიმი არ არის, იგი ადმინისტრატიულ და სამეურნეო საკითხებში ეთანაბრება სამკურნალო გამგე ექიმს, ხოლო თავის სამკურნალო მუშაობაში ხელმძღვანელობს ჯანსახკომისარიატის და მის ორგანოების მიერ გამოცემული დებულებებით და ინსტრუქციებით.

7. წინა მუხლში აღნიშნული საშუალო პერსონალი, რომელსაც დაკისრებული აქვს პუნქტის გამგეობა: ა) აწარმოებს საექიმო, სამეურნეო და საფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანსო ანგარიშგებას, წარადგენს, შემოღებული წესით და ფორმით პერიოდულ და ვადიან ანგარიშებს, მოხსენებებს და სხვა ცნობებს, ბ) თვალყურს ადევნებს ეპიდემიურ სნეულებათა გაჩენას, დაუყოვნებლივ აცნობებს ამგვარი სენის გაჩენას მაზრის ჯანგანყოფილებას და იღებს მონაწილეობას მასთან ბრძოლაში.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი—**გრ. კუჭაიძე.**

იუსტიციის სახალხო კომისარი—**შ. მათიკაშვილი.**

შრომის სახალხო კომისარი—**ს. თოდრია.**

1928 წ. აგვისტოს 14.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 201 №-ში 1928 წ. აგვისტოს 30.

ა.კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის განკარგულებანი.

20. დადგენილება № 23—142.

ა-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში.

10 ივლისი 1928 წელი.

შესაცვლელად ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს 1928 წლის იანვრის 28 დადგენილებისა № 9/128 ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებული იქნას გამომცხვარ პურზე შემდეგი საზღვრითი საცალო ფასები კოოპერაციასთან, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის ქ. ტფილისში:

1 ხარისხის 1 კილოგრამზე 20 კაპ.

ერთი ხარისხოვან (შავი განსაკუთრებულ სტანდ.) 15 კაპ.

§ 2.

დაწესებულ იქნას ქართულ (თონის) პურზე საცალო ფასები ორი კაპეიკით მეტი თითო კილოგრამზე ხარისხების მიხედვით.

§ 3.

ქალ. ტფილისის აღმასკომთან არსებულ შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალ-ყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 4.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 5.

დადგენილება ესე ძალაში შედის ა.-წ. 10 ივლისიდან.

ა.-კ. ვაჭსახკომის რწმუნებული საქართველოში—**სააკიანი.**

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 165 №-ში 1928 წ. ივლისის 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. დადგენილება № 24—143.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

15 ოქტომბერი, 1928 წ.

ცხვრის ხორცზე ფასების დაწესების შესახებ.

თანახმად ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა.-წ. სექტემბრის 17 დადგენილებისა № 75 ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნეს საბითუმო-საგასაცემო ფასი კოოპერაციისათვის ცხვრის ხორცზე 14 მან. 90 კაპ. ფუთი.

§ 2.

დაწესებულ იქნას ცხვრის ხორცზე საცალო ფასი 17 მან. 10 კაპ. ფუთი შემდეგი ანგარიშით:

ცხვრის დუმა—5,5 გირ.—60 კ. გ.	3 მ. 30 კ.
ხორცი—34,5 გირ.—40 კ. გ.	13 მ. 80 კ.
	17 მ. 10 კ.

§ 3.

ცხვრის ხორცის საცალო ფასი დაწესებულ იქნას 1 მან. კილოგრამი.

§ 4.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში) რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპულიკაში, და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინავაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 5.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 6.

აღნიშნული დადგენილება ძალაში შედის ა. წ. 18 სექტემბრიდან.

ა. კ. ვაჭრსახკომის რწმუნებული საქართველოში—**სააკიანი.**

სასურსათო განყოფილების გამგე—**აბესაძე.**

საქართველოს სახ. კომის. საბჭოს საქმეთა მმართველობის ს ტ ა მ ბ ა
მთავლიტი 17 ტირაჟი 1.000